წელიწადი მეხუთე ოთხშაბათი, 18 ივნისი 1919 წ. № 124

# საქართველო

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 120 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში, 40 მან ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მან. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მან. მისამართის გამოცვლა 10 მან. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:— თბილისი „საქ...

ტელეფონი № 15—73

კნეინა სოფიო გიორგის ასული კონსტანტინე დავითის ძე ჩოლოყაშვილები ნინო დავითის ასული და ლევან იასონის ძე გარსიაშვილები, ელისაბედ დავითის ასული და ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ამა წლის 12 ივნისს ვერაგულად მოჰკლეს სოფელ ბაკურციხეში

ალექსანდრე პეტრეს ძე
სარაჯიშვილი

პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში 17 ივნისს საღამოს 7 საათზედ დაკრძალვა ვერის წმიდა ნიკოლოზის სასაფლაოზედ ოთხშაბათს 18 ივნისს

(2—2449—2)

გულითადის მწუხარებით ძმანი: მიხეილ, სოლომონ, აპოლონ, თომა, ანდრო, ვანო, გიორგი და ილიკო სარაჯიშვილები ცოლშვილებით და და სოფიო ყიფიანისა თავის ქმრით, გიორგი ყიფიანით აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 17 ამა ივნისს, სამშაბათს, საღამოს 7 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის მათი საყვარელი და დაუვიწყარი ძმის

ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად, ხოლო ოთხშაბათს, 18 ივნისს, იქვე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რომლის შემდეგაც ცხედარს დაასაფლავებენ ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში.

2—2448—2

მეუღლე სოფიო ალხანაშვილი შვილებით, დედმამა ივანე და დარია ალხანაშვილები შვილებით, ბიძა და ბიცოლა ისაკ და აგრაფინა ალხანაშვილები, მამიდა ნინო გოგინაშვილი და ბიძაშვილი თამარ ალხანაშვილი გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პეტრე ივანეს ძე
ალხანაშვილი

დაკრძალვა ხუთშაბათს, ივნისის 19-ს წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან (ნაძალადევი, ბასეინი ქ., 43) ნაძალადევის ივერიის ღვთის მშობლის ეკლესიაში დღის 3 საათზე.

1—2451—1

მიწათ-მოქმედების სამინისტროს
აგრარულ რეფორმათა განყოფილება

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის პირველ ივნისიდან მიწის მიმღები და განმანაწილებელი კომისიები მუშაობას შეუდგენ ყველა მაზრებში.

15 აპრილის ინსტრუქციის მე-5 მუხლის თანახმად;

„კომისიის მოქმედებაზე საჩივარი შედის სარაიონო კომისიაში **ერთი კვირის ვადაში დღიდან** აქტის დადგენისა. სარაიონო კომისია დაუყოვნებლივ იხილავს საჩივარს და თავისი დასკვნით გადაუგზავნის სათანადო ერობის გამგეობას საბოლოო დადგენილების გამოსატანათ. ერობის გამგეობა **ერთი კვირის ვადაში**, დღიდან საჩივარის მიღებისა, ატყობინებს თავის დასკვნას სარაიონო კომისიას“.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აგრარულ რეფორმათა განყოფილება წინადადებას აძლევს დაინტერესებულ პირების პირადათ ან რწმუნებულების სახით ადგილობრივ დაესწრონ კომისიებს მუშაობის დროს და ყოველი საჭირო ახსნა-განმარტებანი წარუდგინონ მას 3—112—1

თბილისის სამაზრო ერობაში საჭიროა
მთავარი ბუხჰალტერი
ქართული ენის ცოდნა საჭიროა

ცნობებისათვის მისამართი: რუსთაველის ქ. № 6, თბ მაზრ. ერობა—საბიუჯეტო განყოფილება.

ერობის გამგეობა. 1—2450—1

ევროპიულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი ყოფილი გერმანულ-კავკასიური ბანკი

განაგრძობს თავის ოპერაციებს ბანკის წესდების მიხედვით

ნაღდ ფულზე

...მოიკითხეთ
საუკეთესო ხარისხის
კონიაკი
...მ. კაიშაურებისა

...რთი: ელისაბედის ქ., 116, ტელ. 9 77.

12—241—2

## ინგლისის მთავრობის განცხადების გამო.

დღევანდელ გაზეთებში გამოქვეყნებულია ინგლისის სარდლობის მეთაურის გენ. კერის წერილი აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარისადმი, რომელშიც ინგლისელი გენერალი იტყობინება, რომ მისმა მთავრობამ გაიყვანა სადემარკაციო ხაზი გენ. დენიკინისა და კავკასიის რესპუბლიკათა შორის და არც ერთი მხარე არ უნდა გადასცილდეს ამ ხაზს.

ინგლისის სარდლობის მოქმედებაში, საკვირველი უცნაურობით, მეორდება ერთი და იგივე გარემოება:

მისი ბრძანება ყოველთვის უსწრებს იმ მომენტს, როდესაც საომრო მოქმედება დაწყებულია და მოწინაალმდეგეს დაკავებული აქვს უკვე, სადაო ტერიტორია და თანახმად ინგლისის სარდლობის ბრძანების საომრო მოქმედება სწყდება ხოლო მოწინაალმდეგე რჩება დაპყრობილ ადგილებზედ.

ეს გარემოება განსაკუთრებით ერთი და იმავე სახით მეორდება საქართველო-დენიკინის ისტორიაში.

როდესაც ტუაპსეს ჩრდილო საზღვრებზედ საქართველოს ჯარებმა შედგარი შეტევით უპასუხეს წინ წამოწეულ რუსის ღენერალს, ქართული ხმალი ქარქაშში ჩაეგო ინგლისის სარდლების განკარგულებით იმ დაპირებით:

რომ გენ. დენიკინი გაჩერდებოდა იმ ხაზზედ, რომელზედაც მას მოუსწრო ინგლისის სარდლობის განკარგულებამ.

განვლო დრომ, დენიკინის რაზმები შეივსნენ ახალი ძალებით და ახალი ენერგიით ეკვეთნენ საქართველოს საზღვრების მოდარაჯე რაზმებს.

ამ იერიშს წინ საკმაო გრძელი სამზადისი უსწრებდა, მაგრამ დენიკინის მოქმედება ინგლისის სარდლობამ შენიშნა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხალისეთა არმიამ ჩვენი ტერიტორია დაიკავა და ინგლისის სარდლობის განკარგულებანი სრულებით „აჩუჩად“ აიგდო.

ბრძოლა ისევ შესწყდა, მაგრამ დენიკინმა თავის საქმე შეასრულა:

დაიკავა ის ადგილები, რომელთათვისაც იბრძოდა:

ტუაპსე-სოჩის საკითხმა უკვე გაგრის საკითხს დაუთმო ადგილი.

საქართველოს მთავრობის მოქმედება მინდობილი იყო ინგლისის სარდლობის სიტყვაზე და მტკიცეთ სჯეროდა, რომ მისი დაპირებანი შესრულებულნი იქნებოდენ.

საქართველოს მთავრობას იმედები კვლავ გაუცრუვდენ!

დენიკინის ჯარმა უკვე გაგრის ხაზიც გადალახა და ინგლისის სარდლობამ...

ისევ შეაჩერა მოწინააღმდეგე საქართველოს ჯარები:

მდინარე ბზიბის ხაზედ.

ამ „შეწყვეტა-შეჩერებაში“ გენ. დენიკინმა შეირჩინა საკმაოთ დიდი და მნიშვნელოვანი ტერიტორიის მანძილი ტუაპსედან მდინარე ბზიბამდე.

ინგლისის სარდლობის განცხადებიდან, ჩვენ შევიძლო დავრწმუნებულიყავით, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი კადნიერება გენ. დენიკინის მხრით და საქართველოს შეეძლო დამშვიდებით ეცქირა თავის ჩრდილო-დასავლეთის სახელმწიფოსაკენ, მაგრამ დენიკინის საფრთხემ ისევ წამოყო თავი და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკის ჰაერში ისევ ასუნთქია დენიკინის საშიშროება.

ინგლისის მთავრობის ახალი განკარგულება ამ მომენტს უსწრობს და მასში ჩაქსოვილია ძველი პირობები, რომ არც ერთმა მხარემ არ გადალახოს მიღებული სადემარკაციო ხაზი.

ინგლისის მთავრობას ჰქონდა მრავალი საშუალება სავსებით დარწმუნებულიყო, რომ საქართველო მტკიცე და ურყევი შემსრულებელი ... გაცემულ სიტ... ჰქონდეს საკმაო გარანტია, რომ მეორე მხარეც ესევე ურყევად შეასრულებს ინგლისის მთავრობის განკარგულებას.

საქართველოსთვის განსაკუთრებით საჭიროა ეს გარანტია, რადგან მას სამწუხარო გამოცდილება აქვს უკანასკნელი ხნის პრაქტიკიდან.

## კიდევ სომხებზე

ირაკლი წერეთელმა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელ სხდომაზე პატეტიურად განაცხადა, რომ საქართველოს მტრები მეზობელ ხალხში არ ეგულება თანაც დაუმატა, რომ ასეთი ჩვენდამი დამოკიდებულება აიხსნება ქართველ სოციალდემოკრატიის შორსმჭვრეტელ პოლიტიკით. ისტორიის შემდგომ მსვლელობამ გვიჩვენა, რომ საქართველოს ეხლანდელზე ბევრი და მასთან შეურიგებელი მტრები თვის სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივ მანძილზე არ უხილავს ჯერ. მხოლოდ ავადმყოფურ მანიით შეპყრობილ ადამიანებს შეეძლოთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველსავე დღეს ხმა მაღლა ელიარებინათ აბსურდული, ყოვლად უნიადაგო რწმენა, რომ სოციალდემოკრატების ბრძნულ მოღვაწეობის წყალობით ყველას უზომოდ ვუყვარვართ.

ეხლა სოციალდემოკრატები, საფიქრებელია, მიხვდნენ, რა შეუწყნარებელ ილუზიას აზვევდნენ ქართველობას! ცამეტი თვის გამოცდილებამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოს მწარედ ათქმევინა, რომ „დღიდან დამოუკიდებლობისა ქართველი დემოკრატია განუწყვეტელ ომს აწარმოებს ჟამრავ მტრების მოსაგერიებლად“... როგორც სჩანს, „ბრძნულსა და შორსმჭვრეტელ პოლიტიკას“ ვერ გაუჭრია!

ქართველებს ერთი გარემოებაც ოცებს: საქართველოს გარდა, ყოფილ რუსეთის იმპერიას ჩამოეცალა მრავალი კუთხე, რომელნიც სრულიად დამოუკიდებელ ყოფა-ცხოვრებას შეუდგნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთის და ანტანტის ზოგიერთ წრეების საზოგადოებრივი აზრი მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული. საზოგადოებრივი აზრი რუსეთისა და ევროპისაც მცირეოდენად, იქვებება იმ ინფორმაციით, რასაც ასე უხვად და წინასწარ გამიზნარიზებით აწვდიან ისევ ის მტრები ჩვენი სახელმწიფოისა. მათ შორის პირველ რიგში სდგანან ისინი, ვისაც ქართველი სახელმწიფოს მზრუნველობა არასოდეს მოჰკლებია და ვისდამი განსაკუთრებული კეთილი განწყობილება დამოუკიდებლობის აქტშიაც არის აღბეჭდილი. სომხური ინფორმაცია—ყოვლად უმეცარი და ანგარებიანი—ის ფაქტორია, რომელიც ასაზრდოვებს საქართველოსადმი ბოროტ განწყობილებას რუსეთში და შორეულ ევროპა-ამერიკაშიაც. სომხურ „ინფორმაციული ბიუროებით“ მოფენილია ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პუნქტები, ხოლო მათი თავდაპირველი დანიშნულება შექმნან განათლებულ კაცობრიობაში უკმაყოფილება და უნდობლობა „დაუშრეტელ მადიან“ საქართველოსადმი.

მთელი წლის განმავლობაში (უხსოვარ დროის ფაქტებს აღარ გამოუდგებით) სომხის ხალხი შეგნებულად აწარმოებდა საქართველოს საზიანო მუშაობას და, გარდა ცილისწამებისა და დაბეზღებისა, იარაღისა ძალდატანითაც მოიწადინა ჩვენი დამოუკიდებლობის გაცამტვერება. ქართველობა მუდამ ლმობიერად ეპყრობოდა სომხის „პამპულაების“ გამოლაშქრებას; სოციალდემოკრატია ხომ სულ იმ იმედით იყო გატაცებული, რომ „სომხის დემოკრატია ან თავის მთავრობასთან ერთად, ან მის წინააღმდეგ (sic!) საერთო ენას გამონახავს ამიერ-კავკასიის ... ბრძოლა საქართ... ... იქნებ, ... რილობითი მისალმება იქნებოდა, თუ პარლამენტ-დამფუძნებელ კრებაში შეხვედრა.

გენერალ დენიკინის ამიერ-კავკასიისკენ გამოლაშქრებამ და ამის გამო მცირე სახელმწიფოების მიერ თავ-დაცვის საშუალების გამოძებნამ ცხად ჰყო სომხეთის საბოლოო გარდაწყვეტილება. ამ სახელმწიფოს წარმომადგენლების საქციელით ამიერ-კავკასიის კონფერენციაზე ყველანი აღშფოთებულნი არიან და ის კი ვერ გაუგიათ, რომ უკანასკნელ ამბებში ამოსაკითხავია სომხეთის ორმაგ პოლიტიკის შინაარსი. სომხებს დენიკინთან ბრძოლაში დახმარებას ვთხოვდით, ხოლო დანამდვილებით ვიცოდით, რომ მოხალისე არმიის მნიშვნელოვანი ერთეულები სომხის „ვოლონტიორებისაგან“ შესდგება! არარატის რესპუბლიკას ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საზღვრების დაცვისათვის მოვიხმობდით და დარწმუნებული კი ვიყავით, რომ ამ საზღვრების დაშლას სომხები ხელს უწყობენ ყოველის საშუალებით! ჩვენს „ტალეირანებს“ ვერ შეეგნოთ სომხის დიპლომატების ჯამბაზობა და გულწრფელად ურჩევდნენ „დემოკრატიის სასიცოცხლო ინტერესების“ დაცვას!!!

სომხეთის პოლიტიკა არ შეცვლილა ოდნავაც! ბოლო ამბები არის მხოლოდ წყება ლოგიკურად ერთი-ერთმანეთთან დაკავშირებულ ფაქტებისა. საქართველოს დამცირება, ქართველ ხალხის თავზე ათასი დანაშაულობის მოხვევა და საქართველოს „ღალატის დამზაკვრობის“ გამომჟღავნება სომხობამ ივალა და ამ „ღირსეულ“ მისიას უშფოთველოდ ასრულებს შინ და გარეთ.

სომხის აგენტურა განსაკუთრებულის მხნეობით მოქმედებს მოხალისე არმიის გავლენის სფეროში. აგენტები სხვა და სხვა ტიპისა და მიმართულებისა ერთნაირი ხალისით მუშაობენ მოხალისე ბრბოების გულის მოსაგებად: მათ წინაშე ლაჩრულად თავს იხრის ყველა სომეხი დაშნაკცაკანი იქნება ის თუ მენშევიკ-სოციალ დემოკრატი...

სომხურ ნაციონალურ კავშირმა გაგრაში, რომელსაც თავმჯდომარეობს ჩვენი სოციალდემოკრატების ძველი მეგობარი დერენიკიანცი, ჯერ კიდევ მარტის დამლევს მოწოდება გამოაქვეყნა მოხალისე არმიის სახელზე სადაც საქართველოსა და მის ჯარს ასე ამკობს: „...საქართველოს ხალხმა ისარგებლა რუსეთის სასოწარკვეთულ მდგომარეობით, აისხა რუსული იარაღი, მიითვისა რუსეთის ქონება და ხელი მიჰყო მშვიდობიან მცხოვრებთა დარბევას და უცხო ტერიტორიის დაპყრობას, რამაც გამოიწვია სომხეთის მიერ ომის გამოცხადება საქართველოს წინააღმდეგ. 1918 წლის ივლისში საქართველო შეიჭრა ჩერნომორიის გუბერნიის ტერიტორიაში ტუაპსემდე... საქართველომ თავისი ხელმწიფების პირველსავე დღიდან სომხები რეპრესიებით შებოჭა და მისმა უგვანო საქციელმა სომხებისადმი ყოველივე მოთმინების საზღვარს გადააცილა... მიიღო რა მხედველობაში ყველა ზემო აღნიშნული და აგრეთვე ის, რომ სომხის ერი მსოფლიო ომის განმავლობაში მუდამ ერთგული იყო და ეხლაც არის მოკავშირეებისა, სომხის ნაციონალურმა კავშირმა... თვისი წარმომადგენლის დერენიკიანცის სახით მიჰმართა მოხალისე არმიის სარდლობას... თხოვნით მიიღოს სომხის მცხოვრებნი თავის მფარველობაში... („Черноморское эхо“ № 1). ამავე გაზეთში ოთხსვეტიანი მეთაურია დერენიკიანცისა, რომელშიაც თავმოყრილია ქვეყნად, თუ სადმე გაგონილი საქართველოზე ჭორი და დაბეზღება! აქ ... მოთხრ... ლია იმაზე, თუ როგორ საზიზ... ... სდა საქართველოს მთავ...

ახალგაზრდა ერ... დემოკრატთა ... რენცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ...ელი ცნობები

**...ტებმა კონტრ-წინადადების პასუხს ...ს გადასცემენ რის შემდეგაც დე-...ლეგაცია გაემგზავრებიან.**

**...ალლესი საბჭო გარემოცვით იმუქ-...ქირობებს ხელი არ მოაწერა.**

**... გენ. ჰალლერის პოლონური ...მზადება.**

**...მერიკის და ბრიტანიის მე-...ა გაუგზავნეს.**

...გვერთა წარმომადგენლის სასამართლოზე გადაცემის შესახებ. 3) ერობების მიერ მომრიგებელ მოსამართლეების არჩევნები და სხვ.

### პარტიული ცხოვრება.

**პარტიული კრება.** სამეურნეო საზოგადოების დარბაზში („ახალ კლუბის" პირდაპირ) ხუთშაბათს 19 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მე-2-ე რაიონის (მე 2, 3 4 სამილიციო უბნები) წევრთა საზოგადო კრება. დღიური წესრიგი: 1) ის. ჯავახიშვილის მოხსენება: პოლიტიკური მომენტი და ჩვენი ტაქტიკა. 2) მიმდინარე საკითხები.

### სამხატვრო ქრონიკა

**არტისტიულ საზ-ბის თეატრი.** დღეს, თიბათვის 18-ს წარმოდგენილ იქნება „ქალი იბიით". პარასკევს, 20 თიბათვეს, „საკაცობრიო სამსჯავრო". კვირას, 22 თიბათვეს, დილით: ფლავია ტესსინი, საღამოთი „დანტონის სიკვდილი".

**არტისტ. საზო-ბის საზაფხულო თეატრი.** დღეს, 18 თიბათვის, ფ ზილენგის, ასკოლდოვის და სხ. მონაწილეობით ოპერეტა 1) „ჰარამხანის საიდუმლო", 2) ბალეტ. მ. გ. სეკერინსკის პირველი დებიუტი 3) ე ვრონსკის რომანსები, 4) მომაკვდავი გედი.

**სახალხო სახლი.** სეზონი დაიწურა.

**გერ. ქიქოძის წიგნი.** დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა გერონტი ქიქოძის წიგნი: „ეროვნული ენერგია". წიგნი შეიცავს 255 გვერდს, დაბეჭდილია სუფთა ქაღალდზე და ჰღირს 25 მანეთი.

### პროვინციის ცხოვრება

**ქ. თელავი.**

თელავსა და მის არემარეში დიდი სეტყვა მოვიდა და მოსავალი დიდათ დააზარალა, განსაკუთრებით ნაფარეულის ყოფილი საუფლისწულო მამულები. სეტყვა მთელი დღის განმავლობაში არ გამდნარა.

**ს. მუხრანი.**

— სეტყვამ და მერე ქარიშხალმა ვენახები დააზიანა.

— სოფელში დიდი უსურსათობაა.

— მოსავალს მთელ სამუხრანოში კარგი პირი უჩანს.

— მუხრანში ჩამოვიდა მიწის მზომელი და განმანაწილებელი კომისიის წევრი და მუშაობა დაიწყეს.

**ბორჯომი.**

8 თიბათვეს, ბაშკიჩეთში 5 საათის განმავლობაში ძლიერი სეტყვა ჰსცემდა. დაღუპა მთელი ნათესობა. სეტყვამ მოჰკლა 250 ცხვარი, მსხვილი საქონელი 90, მეწველი ძროხა 300, კამეჩი 9. ზარალი რამდენიმე ასი ათასი მანეთისაა. სეტყვამ გაანადგურა მთელი სიძოვრებიც.

### ერთი კაცის თავგადასავალი

**(ნიკა სიყმაშვილის მკვლელობა.**

ვინ არის ნიკა სიყმაშვილი? დამეკითხება მკითხველი. საზოგადო მოღვაწე? მწერალი? მსახიობი? თუ პარტიის ბელადი?

ნიკა არც ერთი მათგანი არ ყოფილა, ის იყო მექრთამე, ავარა ბიჭი, თბილელი კინტო, ძმა ბიჭი. უყვარდა კინტო-მეგობრებში ქეიფი. დროს ტარება ასე ამ სახით გაატარა მან 28 წლამდე. წრეულს შემთხვევით ეცნობა ნიკა თბილისის უბნის კომისრის თანაშემწეს, მას მოსწონს ის, მიდის კომისართან სთხოვს მიიღოს იგი მილიციონერად, კარგია, ყოჩაღი იქნება ბიჭი, ... ნიკა ინიშნება მილიციონერად ავლაბარში. პირველი დღიდან ნიკა სამსახურს შესასრულებლად გამოდის ქუჩაში. პირველ ლამემდე მისი ... ...ატყდება, ყველანი იმალებიან, გარ... ...სახლისაკენ. თავს შეველიან; ნი... ...ლევერები ხელში მიჰბის წინ, ...ილს, მაშინ კვალს მიაგ-...

მონახონ ქურდები, ნიკა მიდის, ორივე თანაშემწე კომისრისა თან მიჰყავს, შედის სახლში, იჭერს ერთ ავარა ბიჭს, — ეს არის ქურდი, ეუბნება ნიკა თანაშემწეებს, ჩხრეკენ სახლს, პოულობენ ნაწილს ნაქურდალისას, ქურდი მიჰყავთ კომისარიატში.

მოჰკლეს კაცი, ნიკა იჭერს მკვლელს, გახსნეს საიდუმლო შეთქმულება, ნიკა ალღოს იღებს, მიჰყავს ნიჟარაძე და ჩაჩიაანი, იჭერენ ყველას. ნიკა მილიციონერია, ერთგულია სამშობლოსი, მოსამსახურე მთავრობისა; მას ვერ აშინებს ვერავითარი მუქარა; მამაცია, უპოვარი ვითა ლომი, ...პეტაკი, წმინდა, უბრალო ვითა ქალწულის ცრემლი სიყვარულის წამიერში დაღვრილი. ემტერებიან მას შიგნით, გარეთ, შუაში მისი მახვილი ჭკუნება. ნიკას სიკვდილს უპირობენ, ის ფხიზლადაა, მტერს ხელში არ უვარდება, ფხიზელია ვითა კურდღელი. ნიკას ითხოვენ სამსახურიდან, რათა? რისთვის? მიზეზი დიდია ერთგული სამსახური ის უადგილოთ რჩება. მოდის ჩემთან, დალონებულია, ოცხვენია, სიტყვას ვერ ახერხებს.

— რა ამბავია ნიკა? რისთვის მოსულხარ? რათა ხარ დაღვრემილი? ვეკითხები მე.

— დამითხოვეს ბატონო, სამსახურიდან, შემდეგ კარგა ხნის სიჩუმისა, მეუბნება ის და თავს ძირს ჩაჰკიდებს.

— რათა? რისთვის? ვეკითხები, თითქო არ ვიცოდი რისთვის ითხოვენ ერთგულ მოსამსახურეებს.

— არ ვიცი, დანაშაული არ ჩამიდენია-რა, ნეტავი მეტყოდნენ მაინც! ნაღვლიანის ხმით მიპასუხა მან და პატარ-პატარა მარგალიტის ბუშტებმა მის თვალების უბეებიდან თავი ამოყვეს.

— ჰო, კარგი, ნუ გეშინიან, ფრთხილად იყავი, შენ გიმტერებიან, ღამე ნუღარ დადიხარ, არ მოგკლან.

— დიახ ბატონო, მეც მეშინიან, ნეტავი რევოლვერი არ წაერთმიათ, ჩემი საკუთრება იყო, ნაღვლიანად მითხრა მან, მალე ხმაც აუკანკალდა, შერცხვა მაიბრუნა პირი, გამშორდა. დიდ ხანს თვალს ვაყოლებდი. დავფიქრდი; თვალ-წინ წარმომიდგა ჩემი მდგომარეობა, მეც ასე მომექცევიან, მადლობის ნაცვლად... ოხ, ღმერთო! ფიქრების ლოუბლებში გავეხვიე, დავლონდი. უკვე ღამდებოდა. შემეშინდა, სახლისაკენ მოვკურცხლე, შეიძლება მეტიროლონ, სამჯერ სიკვდილს გადაურჩი, ეხლა ეჭების მომკლან გამიელვა გულში აზრმა. მეორე დღეს ნიკა ნიჟარაძეს სისხლის მილიციაში მიუღია. ნიკა კვლავ ისეთივე მამაცია, შეუპოვარი, ფხიზელი. მისი შიშით ქურდობა, ავაზაკობა, ყაჩაღობა ისპობა. ავლაბარში ნიკას სასიკვდილოთ დასდევენ. იცის მთავრობამ, ყურადღებას არ აქცევს. 1 თიბათვეს, საღ. 8 ნახ. საათზე ნიკა შუა ბაზარში, თეატრის წინ, წარმოდგენის დროს, ათასი გვარდიელებითა და ას მილიციონერებთან ახლოს რევოლვერით კლავენ, ის ოთხი ტყვიით გულგანგმირული მიწაზე ეცემა. ნიკას ძმა ყვირილით მისდევს მკვლელებს, მაგრამ მშველელი კი არავინაა. ყველაფერი დადუმდა, დაწყნარდა, თითქო ბუნებამაც თავი ძილს მისცა, არსად ჭაჭანება, არსადაა ხმაურობა, მკვლელები თავისუფლად მიდიან, მდევარი არავი ჰყავთ. იჭერენ ნიკას ძმის ჩვენებით, მკვლელის ამხანაგს, მაგრამ ამბობენ; მდიდარია, გაანთავისუფლებენო. რასაკვირველია, ნიკა მილიციონერი იყო, უბრალო მოსამსახურე, უმნიშვნელო საუკუნოთ იყოს ხსენება შენი ერთგული მამულის შვილო ნიკა, შენა ხარ მსხვერპლი... ხმა დადის კომისარს ემუქრებიან, მოკლამენ უეჭველადო. ნიკა სიყმაშვილის ამბავი გამონაკლისი არ არის.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და ადამიანის სიცოცხლე უზრუნველყოფილი იქმნეს.

**ქ. მარტვილელი.**

### ხალხთა ლიგა

**ტერიტორიული და დამოუკიდებლობის გარანტიები.**

**მუხლი მე-10-ე.** ლიგის წევრნი მოვალენი არიან პატივისცემით მოეპყრან ტერიტორიულ მთლიანობას და უნდა დაიცვან ყოველგვარ გარეშე ძალადობისაგან არსებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა ყოველ წევრისა. თავდასხმის ან მუქარის დროს საბჭო ზომებს იღებს ამ წევრის საფრთხის ასაცილებლად.

**ომით დამუქრება.**

**მუხლი 11.** ამით ცხადდება, რომ ყოველგვარი ომი ან ომით დამუქრება, რომელიც მიმართული იქნება ლიგის რომელიმე წევრის წინააღმდეგ, უნდა მიჩნეულ იქმნას როგორც მთელი ლიგის წინააღმდეგ მიმართული აქტი, და ლიგამ უნდა მიიღოს ზომები ნამდვილი ზავის განსამტკიცებლად. ასეთ შემთხვევებში, ლიგის ყოველი წევრი მიჰმართავს მდივანთ უხუცესს, რომელიც დაუყოვნებლივ საბჭოს იწვევს.

ამის გარდა ცხადდება, რომ ყოველ წევრს უფლება აქვს ამხანაგური რჩევა მისცეს ან გაფრთხილოს კრება ან საბჭო იმ გარემოებისაგან, რომელიც გამოიწვევს საერთაშორისო მშვიდობიანობის დარღვევას ან მათ შორის კარგ განწყობილებას.

**პროცედურა დავის ატეხის დროს.**

**მუხლი მე-12-ე** ლიგის ყველა წევრი თანხმდებიან იმას, რომ ყოველგვარი დავა მათ შორის ატეხილი, რომელიც გამოიწვევს საქმის გამწვავებას და მეგობრულ კავშირის შეწყვეტას, გარჩეულ იქნება ან არბიტრაჟის ან საბჭოს მიერ.

აგრეთვე ისინი თანხმობას აცხადებენ რომ არავითარ შემთხვევაში არ მიჰმართავენ ომს, სანამ სამი თვე არ გაივლის საბჭოს ან არბიტრთა (მსაჯულთა) გამოტანილ განაჩენის შემდეგ.

ამ მუხლში აღნიშნულ ყოველ შემთხვევაში განაჩენი უნდა გამოცხადდეს საბჭოს ან მსაჯულთა მიერ არა-უგვიანეს 6 თვისა იმ დღიდან როდესაც საჩივარი აღიძრა.

**არბიტრაჟი.**

...ლიგის წევრთა ...

...ლ ...

...დაჭრა შეუძლებელი შეიქმნა ლიგის წევრები თანხმანი უნდა იყვნენ რომ საქმე გასარჩევად არბიტრაჟს გადაეცეს.

ცხადდება, რომ არბიტრაჟით შეიძლება გადასწყდეს ყოველგვარი დავა ხელშეკრულების მუხლების განმარტების შესახებ, საერთაშორისო უფლების ყოველი პუნქტის შესახებ, ხალხთა მოვალეობის დამრღვევ ფაქტების შესახებ და ზღვევის ნორმის ან გვარის შესახებ.

არბიტრაჟის სასამართლოდ იქნება ან სამსჯავრო ან დაინტერესებულ მხარეებით არჩეული პირნი ან წინანდელ მათ კონვენციებში გათვალისწინებული.

ლიგის წევრები ვალდებულნი არიან სინდისიერათ შეასრულონ გამოტანილი განაჩენი და არ მიმართონ ომს ლიგის წევრთა წინააღმდეგ. განაჩენის შეუსრულებლობის გამო, საბჭო იღებს ზომებს, რომელიც უზრუნველყოფს მის შესრულებას.

**სამსჯავრო.**

**მუხლი მე-14 ე.** საბჭომ უნდა შეადგინოს პროექტი მუდმივი საერთაშორისო სამსჯავროსი და წარუდგინოს ლიგის წევრებს განსახილველად.

ამ სამსჯავროს ექვემდებარება ყველა საერთაშორისო ხასიათის საჩივარი, ორივე მხარეებისაგან აღძრული. ყოველ საჩივარზე და კითხვაზე რომლებსაც მას წარუდგენს საბჭო ან კრება, ის აძლევს სათათბირო ხასიათის დასკვნას.

**საჩივრების განხილვა საბჭოსა და კრების მიერ.**

**მუხ. 15.** თუ ლიგის წევრთა შორის იჩინა თავი რაიმე უკმაყოფილებამ, რომელსაც შეუძლია მოახდინოს მათ შორის განხეთქილება, და თუ დავა არ იქმნა წარდგენილი არბიტრაჟულ განხილვისთვის, თანახმად 131 მუხლისა, ლიგის წევრები თანახმანი არიან, საჩივარი გადაეცეს საბჭოს. ამისთვის საკმარისია რომელიმე მათგანმა განუცხადოს საჩივრის შესახებ მთავარ მდივანს, რომელიც თავის მხრივ ახდენს განკარგულებას მისი ყოველმხრივი გამოძიებისა და განხილვისათ...

...ამაში მხარეები ვალდებუ-ლნი არიან წარადგინონ ანგარიშები თვის საქმეებზე, ყველა სწორი ფაქტებით და გასამართლებელი საბუთებით. საბჭოს შეუძლია მოახდინოს მათი საჩქაროთ გამოქვეყნება.

საბჭოს იძლევა ყოველგვარ პირობებს საქმის განსახილველად. თუ საქმე, დადებითი ხასიათისაა, საბჭო აქვეყნებს რამდენათაც შესაძლებლათ დაინახავს საქმის გარჩევისთვის საჭირო ფაქტებს და პირობებს. თუ შეთანხმება არ მოხერხდა, იმ შემთხვევაში საბჭო ადგენს და აქვეყნებს მოხსენებას, რომელიც მიღებული უნდა იყოს ან ერთი ხმით ან ხმის უმრავლესობით, საჩივრის მდგომარეობის აღნუსხვით და იმ გადაწყვეტილებით, რომელსაც ის დაინახავს უფრო სამართლიანს და სწორს ამ შემთხვევაში.

ყოველ ლიგის წევრს საბჭოში შეუძლია გამოაქვეყნოს საქმის მდგომარეობა და თავისი დასკვნები.

თუ საბჭოს მოხსენება მიღებულ იქმნა ერთხმად, (მხედველობაში არ მიიღებიან მხარეების ხმები) ლიგის წევრები მოვალენი არიან ომი არ დაიწყონ არც ერთ მხარეს წინააღმდეგ, რომელიც ექვემდებარება მოხსენების დასკვნებს.

იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს მოხსენება არ იქნება მიღებული ყველა მისი წევრების მიერ, გარდა მხარეების წარმომადგენლებისა, ლიგის წევრებს ეძლევათ უფლება იმოქმედონ ისე, როგორც აუცილებლად იცნობენ, სამართლიანობის და უფლების დასაცავათ.

თუ ერთი რომელიმე მხარე ამტკიცებს, და თუ საბჭოც დაინახავს, რომ საერთაშორისო უფლება აკუთვნებს ამ მხარეს განსაკუთრებულ კომპეტენციას, საბჭო განმარტებს ამას თვის მოხსენებაში, ხოლო თავის მხრივ არავითარ დასკვნას არ იძლევა.

საბჭოს ყოველ შემთხვევაში, რომელიც ნაგულისხმევია ამ მუხლში, შეუძლია გადაიტანოს საჩივარი კრებაზე განსახილველად.

კრებაზე განსახილველადვე შეიძლება გადატანილ იქმნას საჩივარი რომელიმე მხარის თხოვნითაც. ეს თხოვნა უნდა იქმნას წარდგენილი ორი კვირის განმავლობაში, მის შემდეგ, რაც საჩივარი საბჭოში შევიდა.

...მის ზღვამდე პეტროვსკიდან სამხრეთით ხუთი მილის მანძილზედ.

გენერალ დენიკინს ებრძანა ამ ხაზის სამხრეთით არ გადალახოს საზღვარი. კავკასიის რესპუბლიკები კი არ უნდა გადავიდნენ ამის ჩრდილოეთით".

**წერილის ტექსტი**

გაზ. „ნაბათი" თიბათვის 15-ის ნომერში იტყობინება რომ გენ.-მაიორ კერის ზემოაღნიშნულ წერილი შემდეგის სიტყვებით თავდება:

„კავკასიის შტატებმა (statet—სახელმწიფო) თავი უნდა შეიკავონ, ბოლშევიკური ძალების ხელის შეწყობისაგან, რაც ძალაუნებურად შეიძლება მომხდარიყო.

ამ პირობის შეუსრულებლობა გამოიწვევდა დიდ ბრიტანეთთან მეგობრულ განწობილების დარღვევას და შეუძლებლად გახდის მის უმაღლესობას შეაჩეროს დენიკინის ძალები ამ ხაზის ჩრდილოეთით. ამიერ-კავკასიაში მყოფ ინგლისის ჯარების მთავარსარდალი გენ. კერი".

**იტალიის მისიის წერილი**

ამ წერილის მიღების გამო იტალიის მისიისგან აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი მილოცვა მიიღო:

„მის მაღალკეთილშობილებას მინისტრთა თავმჯდომარეს.

მე ფრიად მოხარული ვარ, რომ შეძლება მაქვს კავკასიაში მყოფ იტალიის ოფიცერთა სახელით გულწრფელად მოგილოცოთ იმ სასიამოვნო ცნობის მიღება რომელიც ინგლისის მისიამ გადმოგცათ და რომელიც არკვევს აზერბაიჯანის საზღვრებს.

თქვენს მაღალკეთილშობილებას მოეხსენება რომ იტალიის მისიის ოფიცრები ყოველთვის დიდის ყურადღებით და დიდი სიმპატიით ეპყრობოდნენ იმ ზომებს, რომელსაც მიჰმართა აზერბაიჯანმა თავის დამოუკიდებლობის დასაცავად, და მოგეხსენებათ რომ კარგად გვესმის ის გრძნობანი, რომელიც აზერბაიჯანის ხალხს ამოძრავებს.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი წრფელი თანაგრძნობა და პატივისცემა პოლკოვნიკი მიშელი".

**დაღესტნის განთავისუფლება**

დიდ საჯარო მიტინგზე უსუფბეკოვმა წერილის ტექსტი წაიკითხა და მიულოცა დაღესტნის განთავისუფლება და მისი დაბრუნება ამიერკავკასიის ფარგლებში. პეტროვსკი დროებით დარჩება დენიკინის ხელში ბოლშევიკების წინააღმდეგ ოპერაციების საწარმოებლად.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

17 თიბათვეს.

### ინგლისური პრესა.

**საფრანგეთი და კოლჩაკი.**

საფრანგეთი აღფრთოვანებით შეხვდა მოკავშირეთა გადაწყვეტილებას, რომ კოლჩაკს დაეხმარონ. მაშინ, როდესაც ოფიციალურ წრეებში სიფრთხილით ლაპარაკობენ შედეგებზე და დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ დახმარება კიდევ არ ნიშნავს კოლჩაკის აღიარებას, ფრანგული პრესა ამას გადაწყვეტილად სთვლის, ფრანგები უკვე წინასწარ არიან დარწმუნებული ბოლშევიკების დამარცხებაში, რუსეთში წესიერების აღდგენაში და რუსეთისთვის მიცემულ მილიარდ ფრანკის სესხის აღიარებაში. სოციალისტება, რომლებიც ამას წინად ამბობდნენ, „რუსეთი თავის-თავს მიანდვეთ"-ო ეხლა გაჩუმდნენ, რაც გასაოცარია.

### ინგლისური პრესა.

სამხედრო საქმეების მცოდნენი ამბობენ, რომ კოლჩაკს საკმაო ცოცხალი ძალა მოეპოვება და მას მხოლოდ მასალის მიწვდენა სჭირია. მოკავშირეებს შეუძლიათ ეხლავე მიაწოდონ ზღვით მას დიდი-ძალი სამხედრო მასალა.

**ფოშის გამგზავრება.**

ფოში პარასკევს საღამოთი პარიზიდან გაემგზავრა, გაიარა ნანსისზე და რეინის ოლქში ჩავა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და იმას მოწმობს, რომ მოკავშირეები ზომებს ღებულობენ იმ შემთხვევისთვის, თუ გერმანელებმა ვერსალში ხელი არ მოაწერეს ზავს.

**გერმანიის გარემოცვის გეგმა**

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დღეს დაამთავრა გერმანიის გარემოცვის ალდგენის გეგმა, რომელიც სისრულეში იქნება მოყვანილი, თუ გერმანელებმა საზავო პირობები არ მიიღეს.

**გერმანია და ზავის პირობები**

ამერიკის საზავო დელეგაციის მიერ გერმანიიდან მიღებულ ცნობებით გერმანიის ხალხი სცდილობს, რაც შეიძლება მალე შეიკრას ზავი. ასეთი ცნობების გამო იმ დელეგატებმა, რომლებიც წინად ჰფიქრობდენ, რომ გერმანია არ მიიღებს ზავის პირობებს, ეხლა აზრი გამოიცვალეს და წინააღმდეგი სწამთ.

### სანქცია.

**მუხლი მე-16-ე.** თუ ლიგის ერთი წევრთაგანი წინააღმდეგ მე 12, 13 და 15, ომს მიმართავს, მაშინ ის ითვლება ლიგის ყველა წევრების მტრად. ლიგის წევრნი მოვალენი არიან დაუყონებლივ შესწყვიტონ მასთან ყოველივე დამოკიდებულობა როგორც სავაჭრო ისე ფინანსიური, აუკრძალონ ლიგის წევრთა მოქალაქებს, სახელმწიფოს მოქალაქეებთან ყოველგვარი პირადი და საზოგადოებრივი ხასიათის ურთიერთობა.

ამ შემთხვევაში საბჭო მოვალეა შეაწეროს ყოველ-წევრს რაოდენობა იმ ჯარისა და საზღვაო ძალებისა რომელიც სხვასთან შეერთებით აუცილებელი საჭიროა მტრის დასამარცხებლად და ლიგის მოვალეობათა პატივისცემის აღსადგენად.

ლიგის წევრნი თანახმანი არიან ამის გარდა ერთმანეთს აღმოუჩინონ ეკონომიური და ფინანსიური დახმარება აგრეთვე ისინი ეხმარებიან იმ სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგ მტერი სპეციალ ზომას იხმარს.

ლიგიდან გამოირიცხება ის წევრი რომელიც დაარღვევს ერთს პუნქტს ამ ხელშეკრულებისას. გამორიცხვა ხდება კენჭის ყრით.

**დავა, რომელიც ეხება ლიგის არა წევრ სახელმწიფოებს.**

**მუხ. 17.** ორ სახელმწიფოს შორის, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია ან არც ერთი არ არის ლიგის წევრი, დავის ატეხის დროს ლიგა იუწოდებს ასეთ სახელმწიფოებს მიიღონ ლიგის წევრთა მოვალეობა, რომელსაც საბჭო კანონიერად იცნობს.

თუ ამ მოწოდებას მიიღებენ, მაშინ გამოიყენებენ მე-12 და 16 მუხლებს...

მოწოდებით მიმართვის თანა... ჭო გამოიძიებს საქმეს და ი... დადებას აძლევს მოლავე... ლიც უფრო სამართლიანი...

თუ მოწოდებული სახე... მიიღებს ლიგის მოვალეობ... მიჰმართავს, მაშინ ლიგა... მე-16 მუხლის თანახმად.

თუ ორივე მეომარი... არ დაემორჩილება ლიგი... ტილებას მაშინ საბჭომ უ... ყოველი ზომა ომის თავ... ლებლად.

(გაგრძელება ი...